

განათლება მდგრადი
განვითარებისთვის
სამუშაო დოკუმენტი

ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2022
წლებისათვის

სარჩევი

ტერმინთა განმარტება	6
1. შესავალი	8
2. რა არის განათლება მდგრადი განვითარებისთვის	10
3. არსებული მდგომარეობის ანალიზი	12
4. ხედვა	16
5. მისია	17
6. მიზანი	17
7. ამოცანები, ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტული სამოქმედო მიმართულებები	18
8. მდგრადი განვითარების პრინციპები	20
8.1 ეკონომიკა	20
8.2 ჯანდაცვა და კეთილდღეობა	20
8.3 გარემოს დაცვა	20
9. მდგრადი განვითარების საერთაშორისო პრინციპები	21
10. სახელმძღვანელო მიმართულებები	23
10.1. რესურსების დაზოგვა და მათი ეფექტიანი გამოყენება	23
10.2. საზოგადოების ჩართულობა	24
10.3. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა	24
10.4. ინტეგრირებული დაგეგმვა და გადაწყვეტილების მიღება	25
10.5. ნარჩენების შემცირება	25

10.6. კვლევა და ინოვაცია	25
11. მდგრადი განვითარების პრინციპები - “განათლება მდგრადი განვითარებისათვის” - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2022 წლებისათვის	25
11.1. ნარჩენების შემცირება და მწვანე შესყიდვები	26
11.2. წყლისა და ენერჯის დაზოგვა	26
11.3. ჯანსაღი სკოლები, საკვები და სასმელი	26
11.4. მდგრადი შენობები	27
11.5. მდგრადი ტრანსპორტი	27
11.6. გლობალური მოქალაქეობა	27
11.7. ინკლუზიური გარემო	28
12.1. პრიორიტეტული მიმართულება: მმართველობა და კოორდინაცია	28
12.1.1. საკოორდინაციო საბჭოს შექმნა	28
12.1.2. განათლება მდგრადი განვითარებისთვის პლატფორმის შექმნა	29
12.1.3. დაინტერესებული მხარეებისთვის ყოველწლიური შეხვედრების ორგანიზება	30
12.1.4. განათლება მდგრადი განვითარებისთვის სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და ყოველწლიური ანგარიშგება	30
12.1.5. განათლება მდგრადი განვითარებისთვის - ყოველწლიური ჯილდო	31
12.2. პრიორიტეტული მიმართულება: სკოლამდელი განათლება	31
12.2.1. სკოლამდელი დაწესებულებების შენობის შიდა და გარე პერიმეტრის მდგრადად მოწყობისა და ინფრასტრუქტურული აღჭურვის შესახებ სარეკომენდაციო სახელმძღვანელოს შექმნა	32
12.2.2. საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა მდგრადი განვითარებისთვის	33
12.3 პრიორიტეტული მიმართულება: ზოგადი განათლება	33
12.3.1 სასკოლო დაწესებულებების მოვლა-პატრონობის სარეკომენდაციო სახელმძღვანელოს მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა	34
12.3.2. სასკოლო სასწავლო პროცესში მდგრადი განვითარების პრინციპების ასახვა	35

12.4. პრიორიტეტული მიმართულება: პროფესიული განათლება	36
12.4.1. სარეკომენდაციო სახელმძღვანელოს შექმნა პროფესიული სასწავლო დაწესებულებების შენობის შიდა და გარე პერიმეტრის მდგრადად მოწყობისა და ინფრასტრუქტურული აღჭურვის შესახებ	36
12.4.2. შესაბამისი მიმართულებების (ვეტერინარია, სატყეო მიმართულება, მეთევზეობა, სოფლის მეურნეობა) მომსახურების სფეროს (კერძოდ, ტურიზმი და სერვისები, ინჟინერია, მრეწველობა და მშენებლობა) პროფესიულ სტანდარტებში მდგრადი განვითარების პრინციპების ასახვა	37
12.5 პრიორიტეტული მიმართულება: უმაღლესი განათლება და კვლევა	38
12.5.1. უნივერსიტეტების მიერ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის გათვალისწინებით	38
12.5.2. აკრედიტაციის სტანდარტებში მდგრადი განვითარების პრინციპების ასახვა	39
12.5.3. სარეკომენდაციო სახელმძღვანელოს შექმნა უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურის მდგრადი მოწყობისთვის	40
12.5.4. კვლევების დაფინანსების პროცესში მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება	40
12.6. პრიორიტეტული მიმართულება: საჯარო მოხელეების მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვა	41
12.6.1. საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარებისათვის ტრენინგების ორგანიზება მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით	41
12.7. პრიორიტეტული მიმართულება: განმანათლებლების მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვა	42
12.7.1. განმანათლებელთა პროფესიული განვითარებისათვის ტრენინგების ორგანიზება მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით	42
12.7.2. განმანათლებელთა პროფესიული განვითარებისათვის სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნა, რომელიც ითვალისწინებს მდგრადი განვითარების პრინციპებს	43
12.7.3. განმანათლებლებს შორის მდგრადი განვითარების პრინციპების სწავლების შესახებ	

გამოცდილების გაზიარებისათვის შესაბამისი პლატფორმის შექმნა	44
12.8. ცნობიერების ამაღლება	44
12.8.1. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საინფორმაციო გადაცემებისა და პროგრამების მომზადება მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით	45
12.8.2. მდგრადი განვითარების პრინციპების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიებისა და ღონისძიებების წარმართვა	46
13. სტრატეგიის შესრულების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები	46
14. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა	48
15. რისკების შეფასება	49
15.1. პოლიტიკური რისკები	49
15.2. ფინანსური რისკები	49
16. დაფინანსება	49

ტერმინთა განმარტება

1. **არაგანახლებადი რესურსები** - არაგანახლებადი რესურსები ესაა ერთხელ წარმოქმნილი რესურსი, რომელიც არ ხასიათდება განახლების უნარით და რომლის რაოდენობაც გამოყენების შემდეგ მცირდება;
2. **ბიომრავალფეროვნება** - ცოცხალ ორგანიზმთა მრავალსახეობა, ხმელეთის, ზღვის და წყლის ეკოსისტემები და ეკოლოგიური კომპლექსები, რომლებიც მოიცავენ მრავალფეროვნებას სახეობის ფარგლებში, სახეობათა შორის და ეკოსისტემებში;
3. **ბუნებრივი რესურსები** - ბუნებრივი გარემოს შემადგენელი ბუნებრივი ელემენტები;
4. **განახლებადი რესურსები** - ბუნებრივი რესურსები, რომლებიც ხასიათდება თვითგანახლებით;
5. **ინკლუზია** - განსხვავებული ნიშნის მქონე ბავშვების რაიმე ფორმით ჩართვა სასწავლო პროცესში სხვა თანატოლებთან ერთად;
6. **კომპოსტი** - ორგანული სასუქი, რომელიც ნარჩენების სპეციალური დამუშავების შემდეგ მიიღება და შესაძლებელია მისი სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში გამოყენება;
7. **მდგრადი განვითარება** - საზოგადოების განვითარების ისეთი სისტემა, რომელიც საზოგადოების ეკონომიკური განვითარებისა და გარემოს დაცვის ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს ადამიანის ცხოვრების დონის ხარისხის ზრდას და მომავალი თაობების უფლებას ისარგებლონ შეუქცევადი რაოდენობრივი და

ხარისხობრივი ცვლილებებისაგან მაქსიმალურად დაცული ბუნებრივი რესურსებითა და გარემოთი;

8. **მდგრადი განვითარების პრინციპები** - პრინციპები, რომლებიც ინტეგრირებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 1992 წლის რიო-დე-ჟანეიროს გარემოსა და განვითარების საერთაშორისო კონფერენციის (United Nations Conference on Environment and Development, Rio de Janeiro, 1992) მიერ მიღებულ „გარემოსა და განვითარების რიოს დეკლარაციის“, „21-ე საუკუნის გლობალური მდგრადი განვითარების პროგრამის - დღის წესრიგ 21-ის“ და „ტყეების დაცვის, მდგრადი განვითარებისა და მართვის პრინციპების შესახებ არასაკანონმდებლო ვალდებულებათა განცხადების“ დასკვნით დოკუმენტებში;
9. **ნარჩენი** - ნებისმიერი ნივთიერება ან ნივთი, რომელსაც მფლობელი იშორებს, განზრახული აქვს მოიშოროს ან ვალდებულია მოიშოროს;
10. **ნარჩენების აღდგენა** - საქმიანობა, რომლის ძირითადი შედეგია ნარჩენების სასარგებლო მიზნებისთვის გამოყენება იმ მასალების ჩანაცვლებით, რომლებიც სხვა პირობებში რაიმე ფუნქციის შესასრულებლად იქნებოდა გამოყენებული;
11. **ნარჩენების გადამუშავება (რეციკლირება)** - აღდგენითი ღონისძიება, რომლის საშუალებითაც ნარჩენი ისეთ პროდუქტად, მასალად ან ნივთიერებად გარდაიქმნება, რომელიც განკუთვნილია თავდაპირველი დანიშნულებით ან სხვა მიზნით გამოყენებისთვის. რეციკლირება მოიცავს ორგანული მასალების გადამუშავებას, მაგრამ არ მოიცავს ენერჯის აღდგენას და მათ ისეთ მასალებად გარდაქმნას, რომლებიც საწვავად ან ამოვსების ოპერაციებისთვის გამოიყენება;
12. **ნარჩენების შემცირება (პრევენცია)** - ნივთიერების, მასალის ან პროდუქტის ნარჩენად გადაქცევამდე ზომების მიღება, რაც ამცირებს მას
13. **ნარჩენების ხელახალი გამოყენება** - ნარჩენად გადაქცევამდე პროდუქტის ან/და მისი კომპონენტის თავდაპირველი დანიშნულებით ხელახლა გამოყენება;

14. **სამაუწყებლო ბადე** - მაუწყებლის მიერ შედგენილი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პროგრამების დასახელებას, მოკლე ანოტაციას და მაუწყებლობის დროს;
15. **სსიპ** - საჯარო სამართლის იურიდიული პირის;
16. **ჰაბიტატი** - ცოცხალი ორგანიზმების საცხოვრებელი გარემო.

1. შესავალი

მე-20 საუკუნის 70-იან წლებში საერთაშორისო წრეებში აქტიურად დაიწყო ფიქრი გარემოსდაცვითი პრობლემების მოგვარებაზე შესაბამისი საგანმანათლებლო ქმედებების დანერგვით. 1972 წელს გამართულ სტოკჰოლმის კონფერენციაზე „გარემო ადამიანისთვის“, განათლება პირველად დასახელდა სხვადასხვა აქტუალური გარემოსდაცვითი პრობლემის მოგვარების გზად. განათლება, როგორც ერთ-ერთი მთავარი გარემოსდაცვითი ინსტრუმენტი განიხილეს 1975 წელს ქ. ბელგრადში. ბელგრადის ქარტიაში დაზუსტდა გარემოსდაცვითი განათლების მიზნები, ამოცანები და პრინციპები. აღნიშნულმა მოსაზრებებმა განვითარება პოვა 1977 წელს ქ. თბილისში გამართულ მთავრობათაშორის კონფერენციაზე, რომელზეც მიიღეს “თბილისის დეკლარაცია”. თბილისის დეკლარაციით გარემოსდაცვითი განათლება განისაზღვრა როგორც „სწავლის პროცესი, რომელიც მიმართულია როგორც გარემოსა და მასთან

დაკავშირებული გამოწვევების შესახებ ცოდნისა და საზოგადოებრივი ცნობიერების დონის ამაღლებისკენ, ასევე ამ გამოწვევების გადასაჭრელად აუცილებელი უნარებისა და ექსპერტული ცოდნის განვითარებისკენ და ხელს უწყობს სათანადო დამოკიდებულებების, მოტივაციის ჩამოყალიბებას, რომელიც საჭიროა ინფორმირებული გადაწყვეტილებების მისაღებად და პასუხისმგებლობითა და გონივრულად მოქმედებისთვის” (იუნესკო, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამა, 1978).

მიუხედავად იმისა, რომ ტერმინი “მდგრადი განვითარება” პირველად 1972 წელს სტოკჰოლმის კონფერენციაზე გაჟღერდა, მასზე მუშაობის იდეა გაჩნდა 1987 წელს ბრუტლანდის კომისიის ანგარიშში - „ჩვენი საერთო მომავალი“, რომლის თანახმად, მდგრადი განვითარება არის „განვითარება, რომელიც პასუხობს ახლანდელი თაობის მოთხოვნილებებს ისე, რომ ზიანს არ აყენებს მომავალი თაობების შესაძლებლობას, დაიკმაყოფილონ თავიანთი მოთხოვნილებები” (გაეროს გარემოსა და განვითარების გლობალური კომისია, 1987).

საკითხის სიმწვავიდან და აქტუალურობიდან გამომდინარე სამუშაოების შედეგები 1992 წელს, რიო-დე-ჟანეიროს კონფერენციაზე “გარემო და განვითარება” შემუშავებულ დოკუმენტებში აისახა. ეს დოკუმენტებია: „რიოს დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ“ და „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“. „დღის წესრიგი XXI საუკუნისათვის“ არის სამოქმედო გეგმა, რომელიც უნდა განახორციელონ გაეროს სტრუქტურებში შემავალმა ორგანიზაციებმა სახელმწიფოთა მთავრობებთან ერთად, ადგილობრივ და გლობალურ დონეებზე ყველა სფეროში, სადაც კი ადამიანის საქმიანობა რაიმე სახით ზემოქმედებს გარემოზე.

გაეროს მიერ 2015 წლის 25 სექტემბერს შემუშავდა მდგრადი განვითარების 17

მიზანი, რომელთა განხორციელებაც 2016 წლის 1 იანვრიდან დაიწყო და რომელთა შესრულების ვალდებულება გაეროს სხვადასხვა სტრუქტურას ქვეყნების მთავრობებთან ერთად დაეკისრა.

2. რა არის განათლება მდგრადი განვითარებისთვის

კონცეფცია - “განათლება მდგრადი განვითარებისთვის” - გულისხმობს ხარისხიანი განათლების მეშვეობით საზოგადოების, ორგანიზაციებისა და ქვეყნების გაძლიერებას, რათა მათ ხელი შეუწყონ მდგრად განვითარებას.

განათლება მდგრადი განვითარებისთვის პრინციპების სწავლებისა და დანერგვისათვის მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს განათლების სისტემის მოდერნიზაცია და მომავალი თაობების ისეთი ცოდნითა და უნარებით აღჭურვა, როგორცაა:

- ანალიტიკური/კრიტიკული აზროვნების უნარი;
- გადაწყვეტილებების მიღების უნარი;
- პრობლემის გადაჭრის უნარი;
- სოციალური და თანამშრომლობითი უნარები;
- სისტემური აზროვნების უნარი.

მდგრადი განვითარების პრინციპების სწავლებისათვის, საჭიროა განათლების სისტემის მოდერნიზაცია, მაღალი სააზროვნო უნარების განვითარება, რაც შემდეგი მეთოდებით არის რეკომენდებული:

- საკლასო დისკუსიები;
- საპროექტო მუშაობა;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- მოდელირება;
- მიზეზშედეგობრივი კავშირების დადგენა;
- კეთებით, ესპერიმენტებით სწავლება;
- სიმულაციები;
- ამბების თხრობა;
- კითხვის დასმა.

ბუნებრივია, სტრატეგია არაა მიმართული მხოლოდ ინდივიდუალური განვითარების ხელშეწყობაზე და მისი უმთავრესი მიზანია მდგრადი, მომავალზე ორიენტირებული საზოგადოების ჩამოყალიბება.

მდგრადი სწავლების მიზანი ახალ თაობაში იმ უნარების განვითარების ხელშეწყობაა, რომელიც საკითხის კომპლექსურ მიდგომასა და სისტემურ გააზრებაში დაეხმარება. სისტემური აზროვნებისას ადამიანი განიხილავს სისტემას როგორც ერთ მთლიანობას, არ ორიენტირდება ერთ კონკრეტულ კომპონენტზე, ამის ნაცვლად ის საკითხს სიღრმისეულად აღიქვამს და აანალიზებს, რისი მაგალითიც, მოცემულ შეთხვევაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესში გარემოსდაცვითი, ეკონომიკური და ადამიანის კეთილდღეობის ასპექტების თანაბრად გათვალისწინებაა.

3. არსებული მდგომარეობის ანალიზი

საქართველო, ისევე, როგორც მთლიანად თანამედროვე სამყარო, განვითარებისა და ტექნოლოგიური წინსვლის ფონზე უამრავი გარემოსდაცვითი პრობლემისა თუ გამოწვევის წინაშე აღმოჩნდა. ბოლო ათწლეულში კლიმატის ცვლილებამ, ჰაბიტატების დეგრადაციამ, წყლისა და ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებამ მნიშვნელოვნად შეცვალა ის ეკოლოგიური გარემო, რომელშიც ადამიანები და სხვა ცოცხალი ორგანიზმები სახლობენ. საქართველოს სწრაფი ეკონომიკური ზრდის გამოკვეთილი ინტერესი გააჩნია, თუმცა მნიშვნელოვანია, მიმდინარე პროცესებმა ხელი შეუწყოს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას.

მდგრადი განვითარება ეკონომიკური ზრდის ისეთ ფორმას გულისხმობს, რომელიც აკმაყოფილებს დღევანდელ მოთხოვნებს ისე, რომ საფრთხეს არ უქმნის მომავალ თაობებს. ის ასევე მოიაზრებს გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარებისთვის ისეთი პირობების შექმნას, რომელიც მაქსიმალურად ითვალისწინებს გარემოსდაცვით საკითხებს. მდგრადი განვითარების შესახებ კოპენჰაგენის მსოფლიო სამიტმა (1995 წ.) ყურადღება გაამახვილა აგრეთვე სოციალური დაყოფის წინააღმდეგ ბრძოლასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის აუცილებლობაზე.

საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტრომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, 2012-2014 წლებისათვის, შეიმუშავა სტრატეგია და სამოქმედო გეგმა “გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის”. სტრატეგიის მიზანს საქართველოს მოსახლეობისათვის გარემოსადმი პასუხიმგებლობის განვითარება, მათი გარემოსდაცვითი უნარებით, ღირებულებებითა და დადებითი დამოკიდებულებებით აღჭურვა წარმოადგენდა.

ზემოთ ნახსენები სტრატეგიის ანალიზის შედეგად, სტრატეგიის განხორციელების პროცესში წარმოშობილი ძირითადი ხარვეზები გამოიკვეთა:

- გარემოსდაცვით ღონისძიებათა უმეტესობა არ იყო კოორდინირებული ქვეყნის მასშტაბით, ხასიათდებოდა სპონტანურობით და არ იყო გათვლილი გრძელვადიან პერიოდზე;
- კვლევაში მონაწილე სტრუქტურები ნაკლებად ითვალისწინებდნენ სტრატეგიის - „გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისათვის 2012-2014“ - მიერ

განსაზღვრულ ქმედებებს და ხშირად მათ მიერ განხორციელებული ღონისძიებები არ იყო კოორდინირებული;

- განხორციელებული ღონისძიებები ხშირად მიზნად ისახავდა ამა თუ იმ სამიზნე ჯგუფის ცნობიერების ამაღლებას გარემოსდაცვითი საკითხების შესახებ, თუმცა ნაკლებად მოიცავდა შესაბამისი უნარების განვითარებას, დამოკიდებულებისა და ქცევის ცვლილებას, რაც განათლება მდგრადი განვითარებისთვის (შემდგომში გმგ-ს) მთავარ კომპონენტებად სახელდება.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის და პრიორიტეტიზაცია 2015 წლიდან დაიწყო. გაეროს მდგრადი განვითარების 17-ვე მიზანი და 98 ამოცანა ეროვნულ პრიორიტეტად განისაზღვრა. იდენტიფიცირდა შემდეგი პრიორიტეტული მიმართულებები:

- სიღარიბისა და შიმშილის აღმოფხვრა,
- ჯანდაცვისა და განათლების სისტემის გაუმჯობესება,
- თანასწორობის ხელშეწყობა,
- ქალაქების მდგრადობა,
- კლიმატური ცვლილებების დამარცხება,
- ოკეანეებისა და ტყეების დაცვა,
- ეფექტური, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.

ასევე განისაზღვრა მდგრადი განვითარების მიზნების ინტეგრაციის მნიშვნელობა

ისეთ სფეროებში როგორებიცაა:

- განათლება
- სოციალურ-ეკონომიკური კეთილდღეობა
- სოფლის მეურნეობა
- გენდერი
- გარემოს დაცვა
- ღია მმართველობა
- ანტიკორუფციული პოლიტიკა

იმისათვის, რომ აღმოიფხვრას “გარემოსდაცვითი განათლება მდგრადი განვითარებისთვის” 2012-14 წლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესრულებისას გამოვლენილი გამოვლენილი ხარვეზები და შესრულდეს 2015 წელს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციით ნაკისრი ვალდებულებები, შემუშავდა წინამდებარე დოკუმენტი - “განათლება მდგრადი განვითარებისთვის”. სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2022 წლებისათვის.

სტრატეგიის მიხედვით დაინტერესებულ პირებად ძირითადად სახელმწიფო სტრუქტურები, არასამთავრობო და საერთაშორისო/დონორი ორგანიზაციები, აკადემიური დაწესებულებები, მედია და ბიზნესორგანიზაციები სახელდება.

ვინაიდან სტრატეგია მოიცავს სწავლების ყველა საფეხურს, სკოლამდელი აღზრდიდან დაწყებული უმაღლესი განათლების ჩათვლით, შესაბამისად მის ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფს საბავშვო ბაღის აღმზრდელები და სკოლის მასწავლებლები წარმოადგენენ. სტრატეგიის განხორციელების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე ისეთ სამიზნე ჯგუფებს, როგორებიც არიან საჯარო მოხელეები და მედიის წარმომადგენლები, რადგან მათ შუძლიათ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მდგრადი განვითარების პრინციპების ასახვის კუთხით.

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მდგრადი განვითარების მეოთხე მიზანი სწორედ ხარისხიან და ხელმისაწვდომ განათლებას გულისხმობს. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კი, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, სახელმწიფომ სტრატეგიით განსაზღვრული ქმედებების სრულყოფილი განხორციელება უზრუნველყოს.

წინამდებარე სტრატეგია შემუშავებულია საქართველოში განათლების სფეროში არსებული მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე და მასში ასახულია არსებული შეფასებები, ადგილზე განხორციელებული და მიმდინარე პროგრამები. სპეციფიკური ღონისძიებები გაწერილია თანდართულ სამოქმედო გეგმაში. დოკუმენტში ასევე გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

4. ხედვა

სტრატეგიის - „განათლება მდგრადი განვითარებისათვის (2018-2022 წწ.)“ - განხორციელების შედეგად საქართველოს მოსახლეობას გააჩნია შესაბამისი უნარები

და მოტივაცია ისეთ საზოგადოებად ჩამოყალიბებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს მდგრად განვითარებას ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

5. მისია

„განათლება მდგრადი განვითარებისათვის (2018-2022 წწ.)“ სტრატეგია და სამოქმედო გეგმა უზრუნველყოფს საზოგადოების მდგრადი განვითარების პროცესში ინტეგრაციას საგანმანათლებლო თუ ცნობიერების ასამაღლებელი სხვადასხვა ღონისძიებებით.

6. მიზანი

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის - „განათლება მდგრადი განვითარებისათვის (2018-2022 წწ.)“ - მიზანია მდგრადი განვითარების პროცესის ხელშეწყობა ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებით, რომელსაც: აქვს ცოდნა მდგრადი განვითარების პრინციპების შესახებ, ფლობს შესაბამის უნარებ-ჩვევებს მათ დასაწერად, გააზრებული აქვს თითოეული ქმედება და გააჩნია შესაბამისი ფასეულობები, რაც საბოლოოდ უზრუნველყოფს ინდივიდის მოტივაციის ზრდასა და ჩართულობას მდგრადი მომავლის შექმნის პროცესში.

7. ამოცანები, ძირითადი პრინციპები და პრიორიტეტული სამოქმედო მიმართულებები

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის - „განათლება მდგრადი განვითარებისათვის (2018-2022 წწ.)“ - ამოცანებია:

1. მმართველობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა;
2. სკოლამდელ დაწესებულებებში სწავლა-აღმზრდელობითი პროცესისა და ფიზიკური გარემოს მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა;
3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების პროცესისა და ფიზიკური გარემოს მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა;
4. პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების პროცესისა და ფიზიკური გარემოს მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა;
5. უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების პროცესისა და ფიზიკური გარემოს მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა;
6. საჯარო მოხელის პროფესიულ განვითარებაში მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება;
7. განმანათლებლების პროფესიულ სასწავლო სახელმძღვანელოებსა და კურსებში მდგრადი განვითარების პრინციპების ასახვა;

8. საზოგადოების ინფორმირება მდგრადი განვითარების პრინციპების შესახებ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებისა და სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიის გამოყენებით.

სტრატეგიითა და მისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ქმედებები მოიცავს როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ და არაოფიციალურ განათლებას.

საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა - „განათლება მდგრადი განვითარებისათვის (2018-2022 წწ.)“ - გამოყოფს შემდეგ პრიორიტეტულ მიმართულებებს:

- მმართველობა და კოორდინაცია
- სკოლამდელი განათლება
- ზოგადი განათლება (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები)
- პროფესიული განათლება
- უმაღლესი განათლება და კვლევა
- საჯარო მოხელეების მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვა
- განმანათლებლების მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვა
- ცნობიერების ამაღლება

8. მდგრადი განვითარების პრინციპები

მდგრადი განვითარების პრინციპები მოიცავს შემდეგ ძირეულ მიმართულებებს:

8.1 ეკონომიკა

ეკონომიკა მოიცავს შემდეგ საკითხებს: მოხმარება და ნარჩენების მართვა, კორპორაციული პასუხისმგებლობა, დასაქმება, ენერჯის ეფექტიანობა და დაზოგვა, სიღარიბის შემცირება.

8.2 ჯანდაცვა და კეთილდღეობა

ჯანდაცვა და კეთილდღეობა მოიცავს შემდეგ საკითხებს: კულტურული მრავალფეროვნება და კულტურათაშორისი ურთიერთგაგება, დემოგრაფია, გენდერული თანასწორობა, ჯანმრთელობა, ადამიანების უფლებები, მშვიდობა და უსაფრთხოება.

8.3 გარემოს დაცვა

გარემოს დაცვა მოიცავს შემდეგ საკითხებს: ბიომრავალფეროვნებისა და ჰაბიტატების კონსერვაცია, კლიმატის ცვლილება, კატასტროფების პრევენცია და შერბილება, ბუნებრივი რესურსები, მდგრადი ურბანიზაცია.

9. მდგრადი განვითარების საერთაშორისო პრინციპები

1. გარემოსდაცვითი და ეკონომიკური გადაწყვეტილებების ინტეგრირება

- ეკონომიკური გადაწყვეტილება ადეკვატურად უნდა ასახავდეს გარემოს, ადამიანთა ჯანმრთელობისა და სოციალურ ასპექტებს;
- ჯანდაცვისა და გარემოსდაცვით სფეროში არსებული ინიციატივების განხორციელებისას, შეძლებისდაგვარად, უნდა მოხდეს მოსალოდნელი ეკონომიკური შედეგების გათვალისწინება.

2. ხელმძღვანელობა

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და სოციალური კეთილდღეობის საკითხები თანაბრად უნდა იყოს გათვალისწინებული;
- დღევანდელი გადაწყვეტილებები უნდა ითვალისწინებდეს სამომავლო შედეგებს.

3. პასუხისმგებლობის გაზიარება და გაგება

- მოქალაქეები პატივს უნდა სცემდნენ განსხვავებულ ეკონომიკურ და სოციალურ შეხედულებებს, განსხვავებულ ღირებულებებს, ტრადიციებსა და მისწრაფებებს;
- მოქალაქეები პასუხისმგებლობას უნდა იღებდნენ ეკონომიკის მდგრადობის, ჯანსაღი გარემოს, ადამიანის ჯანმრთელობის და კეთილდღეობის შესანარჩუნებლად.

4. პრევენცია

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში, გათვალისწინებული უნდა იყოს საფრთხეების მინიმიზაცია გარემოსდაცვითი, ეკონომიკური, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულებებით.

5. კონსერვაცია და გაძლიერება

- საზოგადოებამ უნდა შეინარჩუნოს ეკოლოგიური პროცესები, ბიოლოგიური მრავალფეროვნება და ეკოსისტემები;
- მდგრადად და გონივრულად უნდა იქნას გამოყენებული განახლებადი და არაგანახლებადი რესურსები;
- საზოგადოება გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა ცდილობდეს ეკოსისტემების ხარისხისა და პროდუქტიულობის გაუმჯობესებას.

6. რეაბილიტაცია და აღდგენა

- საზოგადოება უნდა ცდილობდეს დაზიანებული და დეგრადირებული გარემოს აღდგენას;
- სამომავლო ქმედებები და გადაწყვეტილებები უნდა დაიგეგმოს ისე, რომ მასში გათვალისწინებული იყოს გარემოზე მიყენებული ზიანის ანაზღაურების ხარჯები.

7. გლობალური პასუხისმგებლობა

- ადგილობრივი მოქმედებისას საზოგადოება უნდა ფიქრობდეს გლობალურად. ქვეყნები უნდა თანამშრომლობდნენ საერთაშორისო დონეზე, ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, ჯანდაცვისა და სოციალური ასპექტების ინტეგრირების მიზნით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

10. სახელმძღვანელო მიმართულებები

10.1. რესურსების დაზოგვა და მათი ეფექტიანი გამოყენება

- საზოგადოების ქცევა უნდა შეიცვალოს ისე, რომ ის მიმართული იყოს რესურსების დაზოგვასა და მათ ეფექტიან გამოყენებაზე.

10.2. საზოგადოების ჩართულობა

- გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველსაყოფად ფორუმების, კონსულტაციებისა და საზოგადოების ჩართულობის სხვა შესაძლებლობების უზრუნველყოფა;
- გადაწყვეტილების მიღებამდე საზოგადოების წინასწარი ინფორმირება სავარაუდო შედეგების შესახებ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საზოგადოების იმ ნაწილის ინფორმირება, რომელზეც უშუალოდ მოახდენს გავლენას აღნიშნული გადაწყვეტილების შედეგები;
- შეთანხმების მიღწევისაკენ სწრაფვა საზოგადოების იმ ნაწილთან, რომელზეც უშუალოდ მოახდენს გავლენას გადაწყვეტილება.

10.3. ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა

- ეკონომიკური, გარემოსდაცვითი, სოციალური და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება და მომზადება;
- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული შესაძლებლობების განვითარება.

10.4. ინტეგრირებული დაგეგმვა და გადაწყვეტილების მიღება

- გადაწყვეტილების მიღებასა და დაგეგმვის პროცესში ინტერსექტორული ასპექტების გათვალისწინება.

10.5. ნარჩენების შემცირება

- ტრადიციულად გამოყენებული რესურსების ისეთი რესურსებით ჩანაცვლება ან გამოყენების ხელშეწყობა, რომელიც ნაკლებად ზემოქმედებს გარემოზე და ეფექტიანია ეკონომიკისთვის;
- ნარჩენების შემცირება, ხელახლა გამოყენება, გადამუშავება და აღდგენა.

10.6. კვლევა და ინოვაცია

- კვლევებისა და ინოვაციური გამოგონებების შესახებ ცოდნის გაზიარება.

11. მდგრადი განვითარების პრინციპები - “განათლება მდგრადი განვითარებისათვის” - სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2022 წლებისათვის

11.1. ნარჩენების შემცირება და მწვანე შესყიდვები

სკოლა და სხვა სასწავლო დაწესებულებები მაქსიმალურად უნდა ცდილობდნენ ნარჩენების შემცირებას და ახორციელებდნენ “მწვანე” შესყიდვებს. მდგრადი, ეთიკური და პასუხისმგებლიანი შესყიდვა ნიშნავს ისეთი პროდუქციის შეძენას, რომელიც მინიმალურ ზეგავლენას ახდენს გარემოზე.

11.2. წყლისა და ენერჯის დაზოგვა

სასწავლო დაწესებულებებმა თავიანთი ინფრასტრუქტურული მოწყობით მაქსიმალურად უნდა შეამცირონ ენერჯის მოხმარება და განავითარონ მათი დაზოგვის საშუალებები. სასწავლო დაწესებულებები უნდა ორიენტირდნენ წყლის კონსერვაციაზე, დაზოგვასა და მისი დაბინძურებისაგან დაცვის მნიშვნელობის შესახებ ცნობიერების ამაღლებაზე.

11.3. ჯანსაღი სკოლები, საკვები და სასმელი

სკოლები თუ სხვა სასწავლო დაწესებულებები, უნდა ითვალისწინებდნენ ერთიანი სისტემის მიდგომებს, მათ მიერ შეძენილი საკვები უნდა იყოს ადგილობრივი და ჯანსაღი.

11.4. მდგრადი შენობები

სასწავლო დაწესებულებების შენობები უნდა მოეწყოს ისე, რომ ხელი შეუწყოს მდგრად განვითარებას. შესაძლებელი უნდა იყოს ნარჩენების შემცირება, დახარისხება და კომპოსტირება. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ქმედებების ღია სივრცეში განხორციელება.

11.5. მდგრადი ტრანსპორტი

სკოლა უნდა ითვალისწინებდეს მდგრადი ტრანსპორტირების საკითხებს. შესაძლებლობის ფარგლებში, სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა მოეწყოს ტრანსპორტისაგან თავისუფალი ზონა.

11.6. გლობალური მოქალაქეობა

სკოლები და სხვა სასწავლო დაწესებულებები უნდა ახორციელებდნენ ისეთ ქმედებებს, რომლებსაც დადებითი ზეგავლენა ექნებათ ქვეყნის / მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მცხოვრები ადამიანების სასიცოცხლო პირობებზე - მდგრადი მოხმარების, ნარჩენების შემცირების, წყლისა და ენერჯის დაზოგვის კუთხით.

11.7. ინკლუზიური გარემო

სასწავლო დაწესებულებებმა უნდა უზრუნველყონ ინკლუზიური გარემოს შექმნა, რათა სასწავლო პროცესში ჩართვა შესაძლებელი იყოს ყველა მსურველისათვის, განურჩევლად შესაძლებლობებისა.

12.1. პრიორიტეტული მიმართულება: მმართველობა და კოორდინაცია

ამოცანა : მმართველობისა და კოორდინაციის უზრუნველყოფა

სტრატეგიის მიერ დასახული მიზნების მისაღწევად მნიშვნელოვანია ინფორმაციის დროული მიმოცვლა, საუკეთესო გამოცდილების გაზიარება, სტრატეგიის მუშაობის პროცესში ხარვეზების აღმოჩენა, სტრუქტურათაშორისი კომუნიკაცია და სისტემის შემუშავება, რომელიც გააუმჯობესებს კოორდინაციას სამთავრობო, არასამთავრობო და აკადემიურ სექტორებს შორის. აღნიშნული პრიორიტეტული ღონისძიების ფარგლებში იგეგმება საკოორდინაციო საბჭოს შექმნა, რომელსაც სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი გაუწევს კოორდინაციას.

12.1.1. საკოორდინაციო საბჭოს შექმნა

საკოორდინაციო საბჭო, რომელიც ხელს შეუწყობს განათლება მდგრადი განვითარებისათვის პროგრამებთან დაკავშირებული ქმედებების კოორდინაციას, განავითარებს უწყებებსა შორის თანამშრომლობის შესაძლებლობებს სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის - “განათლება მდგრადი განვითარებისთვის (2018-2022 წწ.) - ფარგლებში.

პასუხისმგებელი:

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

12.1.2. განათლება მდგრადი განვითარებისთვის პლატფორმის შექმნა

პლატფორმა - განათლება მდგრადი განვითარებისთვის - საშუალებას მისცემს დაინტერესებულ პირებს, ერთ სივრცეში განათავსონ გმგ-სთან დაკავშირებული ინფორმაცია, პროექტები და სხვა ღონისძიებები. ინტერნეტპლატფორმის დაშენება შესაძლებელია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის უკვე არსებულ სისტემაზე, თუმცა პლატფორმის ჩამოსაყალიბებლად და გამართული ფუნქციონირებისათვის საჭირო გახდება დამატებითი ადამიანური და ფინანსური რესურსების მოძიება.

12.1.3. დაინტერესებული მხარეებისთვის ყოველწლიური შეხვედრების ორგანიზება

განათლება მდგრადი განვითარებისათვის დასახული მიზნების მისაღწევად დიდი მნიშვნელობა აქვს დაინტერესებული პირების ჩართულობას, რაც ყოველწლიური შეხვედრებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, სადაც მათ აზრის დაფიქსირების, საკუთარი განხორციელებული ან დაგეგმილი პროექტების გაზიარებისა და წარდგენის შესაძლებლობა ექნებათ.

პასუხისმგებელი:

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

12.1.4. განათლება მდგრადი განვითარებისთვის სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი და ყოველწლიური ანგარიშგება

„განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ სტრატეგიის შესრულების მონიტორინგისათვის, მომზადდება ყოველწლიური ანგარიში, რომელიც გმგ-ის შესრულების პროცესში აღმოჩენილი ხარვეზებისა და სხვა პრობლემების იდენტიფიკაციის საშუალებას მოგვცემს.

პასუხისმგებელი:

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

12.1.5. განათლება მდგრადი განვითარებისთვის - ყოველწლიური ჯილდო

მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვის წახალისების მიზნით უნდა შეიქმნას ყოველწლიური ჯილდო. ჯილდოს არსებობა მნიშვნელოვანია, რადგან, ის გაზრდის დაინტერესებას გმგ-ს საკითხების მიმართ სხვადასხვა სამიზნე ჯგუფში.

პასუხისმგებელი:

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

12.2. პრიორიტეტული მიმართულება: სკოლამდელი განათლება

ამოცანა: სკოლამდელ დაწესებულებებში სწავლა-აღმზრდელობითი პროცესისა და ფიზიკური გარემოს შესაბამისობაში მოყვანა მდგრადი განვითარების პრინციპებთან.

მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვისათვის სკოლამდელი აღზრდის სექტორი ყველაზე მყარი და საიმედო სეგმენტია, რადგან სწორედ სკოლამდელ ასაკში იწყებს ბავშვი გარემოს აღქმას, ქცევებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას.

სწორედ ამიტომ, აღნიშნულ სექტორთან მუშაობა პრინციპების დანერგვისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია.

12.2.1. სკოლამდელი დაწესებულებების შენობის შიდა და გარე პერიმეტრის მდგრადად მოწყობისა და ინფრასტრუქტურული აღჭურვის შესახებ სარეკომენდაციო სახელმძღვანელოს შექმნა

მდგრადი განვითარების პრინციპებში განსაკუთრებული ყურადღება შენობისა და ინფრასტრუქტურის მდგრად მოწყობას ეთმობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს სარეკომენდაციო სახელმძღვანელო, რომელიც საბავშვო ბაღების ადმინისტრაციას გაუადვილებს შენობის მოწყობისას ენერგოეფექტიანობის, წყალდაზოგვისა და მდგრადობის სხვა პრინციპების გათვალისწინებას.

პასუხისმგებელი:

- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
- თვითმმართველობები
- არასამთავრობო ორგანიზაციები

12.2.2. საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა მდგრადი განვითარებისთვის

სკოლამდელი ასაკის ბავშვებში მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება მეთოდისტთა და აღმზრდელთა კვალიფიკაციას. იმისათვის, რომ ბავშვებთან პროგრამა წარმატებით დაინერგოს, საჭიროა მეთოდისტთა და აღმზრდელთა კვალიფიკაციისა და მოტივაციის ამაღლება. მნიშვნელოვანია, შეიქმნას ისეთი სასწავლო პროგრამები, რომლებიც სკოლამდელი დაწესებულების წარმომადგენლებს კვალიფიკაციის ამაღლების საშუალებას მისცემს. ამავდროულად, მეთოდისტთა და აღმზრდელთა მომზადების პროგრამებში მდგრადი განვითარების პრინციპები ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით უნდა შევიდეს.

პასუხისმგებელი:

- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
- თვითმმართველობები
- არასამთავრობო ორგანიზაციები
- დონორები

12.3 პრიორიტეტული მიმართულება: ზოგადი განათლება

ამოცანა: ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების პროცესისა და ფიზიკური გარემოს მდგრადი განვითარების

პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა.

მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვისთვის ზოგადი განათლების სექტორი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა. ზოგადი განათლების სისტემა სამ საფეხურად იყოფა:

- დაწყებითი
- საბაზო
- საშუალო

აღნიშნულ სისტემაში მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვა ხელს უწყობს მოსწავლეებში ისეთი უნარების განვითარებას, რომელიც მდგრადი მომავლის წინაპირობაა.

12.3.1 სასკოლო დაწესებულებების მოვლა-პატრონობის სარეკომენდაციო სახელმძღვანელოს მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა

განათლება მდგრადი განვითარებისათვის ფარგლებში, უმნიშვნელოვანესია სასწავლო დაწესებულებების მდგრადი მოწყობა. აქედან გამომდინარე, სასურველია, თუ სკოლების მოვლა-პატრონობის სახელმძღვანელო შესაბამისობაში იქნება მდგრადი განვითარების პრინციპებთან და სკოლების მდგრადი მოწყობისათვის შემუშავდება შესაბამისი რეკომენდაციები.

პასუხისმგებელი:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

12.3.2. სასკოლო სასწავლო პროცესში მდგრადი განვითარების პრინციპების ასახვა

სასკოლო სივრცეში მდგრადი განვითარების პრინციპების წარმატებული დანერგვისათვის მნიშვნელოვანია სასკოლო სასწავლო პროცესში მდგრადი განვითარების პრინციპების ასახვა, რაც მიიღწევა სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ფორმალურ დოკუმენტებსა (ეროვნული სასწავლო გეგმა(ესგ), გრიფირების წესი, მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი) და სასკოლო სასწავლო გეგმებში მდგრადი განვითარების პრინციპების ასახვით. მიზნის მისაღწევად მნიშვნელოვანია, გაიზარდოს სკოლებს შორის პარტნიორობა და მათი ჩართულობა სხვადასხვა მნიშვნელოვან პროექტში.

პასუხისმგებელი:

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

12.4. პრიორიტეტული მიმართულება: პროფესიული განათლება

ამოცანა: პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების პროცესისა და ფიზიკური გარემოს მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა.

„განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ სტრატეგიისთვის პროფესიული განათლება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს. არსებული სექტორი საქართველოს მოსახლეობის იმ ნაწილს წარმოადგენს, რომელიც სკოლის დასრულების შემდეგ მალევე ხვდება შრომის ბაზარზე. შესაბამისად, მათი მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვა ქვეყნის მდგრადი განვითარებისკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია.

12.4.1. სარეკომენდაციო სახელმძღვანელოს შექმნა პროფესიული სასწავლო დაწესებულებების შენობის შიდა და გარე პერიმეტრის მდგრადად მოწყობისა და ინფრასტრუქტურული აღჭურვის შესახებ

მდგრადი განვითარების პრინციპებში განსაკუთრებული ყურადღება შენობისა და ინფრასტრუქტურის მდგრად მოწყობას ეთმობა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, შემუშავდეს სარეკომენდაციო სახელმძღვანელო, რომელიც პროფესიული სასწავლებლების ადმინისტრაციას გაუადვილებს შენობის მოწყობისას

ენერგოეფექტიანობის, წყალდაზოგვისა და მდგრადობის სხვა პრინციპების გათვალისწინებას.

პასუხისმგებელი:

- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

12.4.2. შესაბამისი მიმართულებების (ვეტერინარია, სატყეო მიმართულება, მეთევზეობა, სოფლის მეურნეობა) მომსახურების სფეროს (კერძოდ, ტურიზმი და სერვისები, ინჟინერია, მრეწველობა და მშენებლობა) პროფესიულ სტანდარტებში მდგრადი განვითარების პრინციპების ასახვა

მნიშვნელოვანია, ცვლილება შევიდეს პროფესიული სასწავლო პროგრამების სტანდარტებში, განსაკუთრებით იმ მიმართულებებში, რომლებიც უშუალოდ არიან დაკავშირებული ბუნებრივი რესურსების მოხმარებასთან. ამ მხრივ აღსანიშნავია პროფესიული განათლების შემდეგი მიმართულებები:

- მომსახურება/სერვისი
- ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა
- აგრარული მეცნიერებები, მეტყევეობა, მეთევზეობა და ვეტერინარია

ამ ცვლილების მიზანია, ჩამოვყალიბოთ ისეთი სპეციალისტები, რომლებიც საკუთარ პროფესიულ საქმიანობაში გაითვალისწინებენ მდგრადი განვითარების საკითხებს.

პასუხისმგებელი:

- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
- პროფესიული სასწავლებლები

12.5 პრიორიტეტული მიმართულება: უმაღლესი განათლება და კვლევა

ამოცანა: უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში სწავლა-სწავლების პროცესისა და ფიზიკური გარემოს მდგრადი განვითარების პრინციპებთან შესაბამისობაში მოყვანა.

„განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ სახელმწიფო სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტული მიმართულება უმაღლესი განათლებაა.

12.5.1. უნივერსიტეტების მიერ სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის გათვალისწინებით

ერთიანი ინსტიტუციური მიდგომის სტრატეგიის ჩამოყალიბება მდგრადი განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია. უნივერსიტეტებში გმგ სტრატეგიის განხორციელებაც დიდწილად ერთიანი ინსტიტუციონალური მიდგომის სტრატეგიის არსებობაზეა დამოკიდებული. შესაბამისად, აუცილებელია, უნივერსიტეტებმა მდგრადი განვითარების პრინციპებზე მორგებული ერთიანი ინსტიტუციური

მიდგომის სტრატეგია შეიმუშაონ.

პასუხისმგებელი:

- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

12.5.2. აკრედიტაციის სტანდარტებში მდგრადი განვითარების პრინციპების ასახვა

გარდა ავტორიზაციის სტანდარტების ცვლილებისა, აუცილებელია, შეიცვალოს აკრედიტაციის სტანდარტებიც და ცვლილების საფუძველზე სავალდებულო გახდეს მდგრადი განვითარების პრინციპების უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამებში ინტეგრირება ან ცალკეულ სასწავლო მოდულად დამატება.

პასუხისმგებელი:

- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი
- სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

12.5.3. სარეკომენდაციო სახელმძღვანელოს შექმნა უნივერსიტეტების ინფრასტრუქტურის მდგრადი მოწყობისთვის

შენობისა და ინფრასტრუქტურის მდგრადად მოწყობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სკოლების, ბაღებისა და პროფესიული სასწავლებლებისათვის, არამედ უნივერსიტეტებისთვისაც. შესაბამისად, უნდა შემუშავდეს მდგრადი მოწყობის სარეკომენდაციო სახელმძღვანელო უნივერსიტეტების ადმინისტრაციებისთვისაც.

პასუხისმგებელი :

- სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

12.5.4. კვლევების დაფინანსების პროცესში მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება

მდგრადი განვითარების პრინციპების დანერგვაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კვლევას, კერძოდ კი, იმ კვლევების ხელშეწყობას, რომლებიც მდგრადი განვითარებისთვისაა მნიშვნელოვანი. შესაბამისად, კარგი იქნება თუ გრანტების შეფასების პროცესის კრიტერიუმებში მდგრადი განვითარების პროცესების ხელშეწყობი პრინციპებისა და სტუდენტების ჩართულობის გათვალისწინება მოხდება.

პასუხისმგებელი:

- სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

12.6. პრიორიტეტული მიმართულება: საჯარო მოხელეების მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვა

ამოცანა: საჯარო მოხელის პროფესიულ განვითარებაში მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება

საჯარო მოხელეები სტრატეგიის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სამიზნე ჯგუფად სახელდებათ, ვინაიდან ისინი დიდ როლს ასრულებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. საჯარო მოხელეების მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვა დადებითად აისახება ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესებზე.

12.6.1. საჯარო მოხელეების პროფესიული განვითარებისათვის ტრენინგების ორგანიზება მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით

ამ მიმართულებით მუშაობა მიზნად ისახავს ყველა საჯარო მოხელის მდგრადი განვითარებისათვის საჭირო შესაბამისი ცოდნითა და უნარებით აღჭურვას, კანონმდებლობის ფარგლებში.

პასუხისმგებელი:

- სსიპ საჯარო სამსახურის ბიურო
- საქართველოს პარლამენტის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი

12.7. პრიორიტეტული მიმართულება: განმანათლებლების მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვა

ამოცანა: განმანათლებლების პროფესიულ სასწავლო სახელმძღვანელოებსა და კურსებში მდგრადი განვითარების პრინციპების ასახვა

„განათლება მდგრადი განვითარებისთვის“ სახელმწიფო სტრატეგიით განსაზღვრულ პრიორიტეტულ სამიზნე ჯგუფებს შორის განმანათლებლებს საკმაოდ დიდი ადგილი უკავიათ. სწორედ მათ აქვთ უშუალო შეხება აუდიტორიასთან და მათი ვალდებულებაა სწავლის პროცესში მდგრადი განვითარების პრინციპების ასახვა. განმანათლებლების ჯგუფი აერთიანებს: მასწავლებლებს, საბავშვო ბაღების აღმზრდელებს, ტრენერებს და სხვ.

12.7.1. განმანათლებელთა პროფესიული განვითარებისათვის ტრენინგების ორგანიზება მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით

განმანათლებლები გმგ-ის უნიშვნელოვანესი მიზნობრივი ჯგუფია, შესაბამისად, მათთვის პროფესიული განვითარებისაკენ მიმართული ტრენინგებისა თუ სასწავლო კურსების შეთავაზება პრიორიტეტულია.

პასუხისმგებელი:

- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
- სასწავლო ცენტრები (სსიპ-ები)

12.7.2. განმანათლებელთა პროფესიული განვითარებისათვის სასწავლო სახელმძღვანელოების შექმნა, რომელიც ითვალისწინებს მდგრადი განვითარების პრინციპებს

დასახული მიზნის მისაღწევად და განმანათლებელთათვის მდგრადი განვითარების პრინციპების შესაბამისი პროფესიული განვითარების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია, შეიქმნას სასწავლო სახელმძღვანელოები, რომლებშიც ინტეგრირებული იქნება ზემოთ ხსენებული პრინციპები.

პასუხისმგებელი:

- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
- სასწავლო ცენტრები (სსიპ-ები)

12.7.3. განმანათლებლებს შორის მდგრადი განვითარების პრინციპების სწავლების შესახებ გამოცდილების გაზიარებისათვის შესაბამისი პლატფორმის შექმნა

მნიშვნელოვანია, თითოეულ განმანათლებელს ჰქონდეს შესაძლებლობა, გააზიაროს მდგრადი განვითარების საკითხებზე მუშაობის საკუთარი გამოცდილება. ამისათვის საუკეთესო საშუალება შესაბამისი პლატფორმის შექმნაა.

პასუხისმგებელი:

- სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
- სასწავლო ცენტრები (სსიპ-ები)

12.8. ცნობიერების ამაღლება

ამოცანა: საზოგადოების ინფორმირება მდგრადი განვითარების პრინციპების შესახებ მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებისა და სხვადასხვა საინფორმაციო კამპანიის გამოყენებით

იმისათვის, რომ ფართო მასებისთვის მდგრადი განვითარებისა და მისი პრინციპების შესახებ ინფორმაციის მიწოდება გახდეს შესაძლებელი და ჩამოყალიბდეს

დაინტერესებული, პასუხისმგებლიანი და აქტიური საზოგადოება, რომელიც ჩართული იქნება ქვეყნის მდგრადი განვითარების პროცესებში, უზრუნველყოფილი უნდა იქნას შესაბამისი ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები, პროგრამები და ღონისძიებები.

12.8.1. საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ საინფორმაციო გადაცემებისა და პროგრამების მომზადება მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინებით

მასმედიის როლი უმნიშვნელოვანესია საზოგადოების ცნობიერების ამაღლებაში, სწორედ ამიტომ, აუცილებელია, საზოგადოებრივი მაუწყებლის საინფორმაციო გადაცემებისა და პროგრამების მომზადებისას მდგრადი განვითარების პრინციპების გათვალისწინება. მნიშვნელოვანია, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამაუწყებლო ბადეში დაემატოს ისეთი გადაცემები, რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც დაეთმობა მდგრადი განვითარების საკითხებს და საზოგადოების ყველა სოციალური ფენისა თუ პროფესიის ადამიანს შესაძლებლობა ექნება, მიიღოს ინფორმაცია მდგრადი განვითარების შესახებ.

პასუხისმგებელი:

- საზოგადოებრივი მაუწყებელი

12.8.2. მდგრადი განვითარების პრინციპების შესახებ ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიებისა და ღონისძიებების წარმართვა

საზოგადოებრივმა მაუწყებელმა და სხვა მედია საშუალებებმა უნდა უზრუნველყონ მდგრადი განვითარების პრინციპებისა და მიზნების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ამისათვის მნიშვნელოვანია, უზრუნველყონ სხვადასხვა შემეცნებითი და ცნობიერების ასამაღლებელი საინტერესო კამპანიები.

პასუხისმგებელი:

- არასამთავრობო ორგანიზაციები
- თვითმმართველობები
- მედია

13. სტრატეგიის შესრულების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები

წინამდებარე სტრატეგია მოიცავს ფორმალურ, არაფორმალურსა და არაოფიციალურ განათლებას, რომელიც უშუალო კავშირშია კონცეფციასთან “განათლება მდგრადი განვითარებისთვის.” შესაბამისად, სტრატეგიით დასახული მიზნების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია სამინისტროების, არასამთავრობო ორგანიზაციების, აკადემიური დაწესებულებებისა და საერთაშორისო

ორგანიზაციების მჭიდრო ურთიერთობა და ფუნქციების მკაფიო გამოიჯვანა.

“განათლება მდგრადი განვითარებისათვის” სტრატეგიის განხორციელებას კოორდინაციას გაუწევს საკოორდინაციო საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს ამ პროცესში ყველა შესაბამისი პასუხისმგებელი სახელმწიფო უწყების ჩართულობას.

სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის განხორციელების პროცესში წამყვან უწყებას სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი წარმოადგენს, რომელიც საკოორდინაციო საბჭოს ხელმძღვანელობას უზრუნველყოფს.

სტრატეგიით განსაზღვრული მიზნების შესასრულებლად იქმნება შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2018-2022 წლებისთვის. სამოქმედო გეგმა განსაზღვრავს სტრატეგიაში დასახული მიზნების შესასრულებლად საჭირო კონკრეტულ ქმედებებს, შესრულების ვადებს, ინდიკატორებსა და შესრულებაზე პასუხისმგებელ ინსტიტუტებს. სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდში, კონკრეტული ქმედების შესრულებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურა საკოორდინაციო საბჭოს ყოველწლიურ ანგარიშს წარუდგენს.

წარდგენილი ანგარიშებისა და სხვა მექანიზმების მეშვეობით საკოორდინაციო საბჭო სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდულ მონიტორინგს განახორციელებს. გეგმის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ, საკოორდინაციო საბჭო ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების შემაჯამებელ მოხსენებას, რომელსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს. შემაჯამებელი მოხსენება უნდა ასახავდეს სამოქმედო გეგმის შესრულების პერიოდული მონიტორინგის შედეგებს და შეიცავდეს შესაბამის რეკომენდაციებს.

სამოქმედო გეგმას, განსაზღვრული აქტივობების შესრულების შესაფასებლად, შესაბამისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი ინდიკატორები აქვს განსაზღვრული. აღნიშნული ინდიკატორები განათლების სფეროს ექსპერტების მიერაა შემუშავებული. შესაბამისი სტატისტიკური პარამეტრების გამოყენებით შესაძლებელი გახდება სტრატეგიის სამოქმედო გეგმის პროგრესის წარდგენა.

2018-2022 წლების სამოქმედო გეგმის მოქმედების პერიოდის ამოწურვის შემდეგ, აღნიშნულ შეფასების კრიტერიუმებზე დაყრდნობით, სახელმწიფო ორგანოების, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიური მონაწილეობით შეიქმნება ახალი სტრატეგია და სამოქმედო გეგმა - “განათლება მდგრადი განვითარებისათვის”.

14. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა

სტრატეგიის დანერგვისათვის, დასახული მიზნების ეფექტიანი განხორციელებისა და შედეგების მდგრადობისათვის, მნიშვნელოვანია თითოეული დაინტერესებული მხარის აქტიური მონაწილეობა.

15. რისკების შეფასება

15.1. პოლიტიკური რისკები

სტრატეგიის განხორციელებასა და დასახული მიზნების მიღწევაზე შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს რეგიონში არსებულმა გეოპოლიტიკურმა არასტაბილურობამ, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის რღვევამ, რაც ხელს შეუშლის სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ეფექტიან განხორციელებას.

15.2. ფინანსური რისკები

სტრატეგიის განხორციელების პროცესში, შესაძლოა, ბარიერად იქცეს დასახელებული ღონისძიებებისთვის აუცილებელი ფინანსური რესურსების ნაკლებობა ან/და მათი არასათანადო მართვა.

16. დაფინანსება

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხორციელდება სტრატეგიით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების ასიგნებების ფარგლებში, რომელსაც საფუძვლად უდევს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსება.

საქართველოს შესაბამისი სამინისტროებისა და საქართველოს მთავრობას

დაქვემდებარებული შესაბამისი უწყებების მიერ მომზადებული სტრატეგიული დოკუმენტები და სამოქმედო გეგმები უნდა შეესაბამებოდეს “განათლება მდგრადი განვითარებისთვის” სტრატეგიით განსაზღვრული პოლიტიკის პრიორიტეტებს. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელებისთვის უზრუნველყოფილ უნდა იქნას საერთაშორისო პარტნიორებისა და დონორი ორგანიზაციების ჩართულობა.

DRAFT